

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4 408 087	4 425 351	6 614 020	7 797 065	8 743 655	9 421 345
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 207 776	4 269 974	4 857 620	5 412 165	6 026 255	6 419 945
მუნიციპალიტეტის საკრებულო	857 132	981 928	1 123 900	1 348 300	1 508 800	1 553 200
მუნიციპალიტეტის მერია	2 278 361	3 173 114	3 733 720	4 063 865	4 517 455	4 866 745
სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	72 283	114 933	0	0	0	0
საერთო დანიშნულების ხარჯები	1 200 311	155 377	1 756 400	2 384 900	2 717 400	3 001 400
სარეზერვო ფონდი	0	0	100 000	150 000	150 000	200 000
მონაწილეობითი ბიუჯეტი	1 085 393	49 500	1 500 000	2 000 000	2 300 000	2 500 000
მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	31 405	26 260	50 000	103 500	111 000	120 000
სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	40 063	36 578	45 400	45 400	45 400	45 400
წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა	0	0	1 000	1 000	1 000	1 000
ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა	14 430	28 972	45 000	60 000	80 000	100 000
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდაჭერი მუნიციპალური პროგრამა	3 740	3 768	5 000	10 000	10 000	10 000
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამღლება	0	9 999	10 000	15 000	20 000	25 000
საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	25 280	300	0	0	0	0

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 - 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 500 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 500 000
ქვეპროგრამის მიზანი	
ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა	

ქვეპროგრამის აღწერა
<p>მონაწილეობითი ბიუჯეტს (იყავი თანამმართველი) პრაქტიკაში გამოიყენებენ, როგორც (თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება) რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციასა, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და წარმოადგენს მასსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს. ქედის მუნიციპალიტეტი მონაწილეობით ბიუჯეტში 2018 წლის ბოლოს ჩაერთო. მონაწილეობითი ბიუჯეტის (იყავი თანამმართველი) ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეების (საინიციატივო ჯგუფები)–ს მიერ წარმოდგენილი და კენჭისყრის შედეგად გამარჯვებული პროექტების შესაბამისად მოხდება სკვერების, საბავშვო კუთხეების, მინისტადიონების და სხვა ტერიტორიების მოწყობა - რეაბილიტაცია.</p> <p>მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (მერია) მონაწილეობით ბიუჯეტირების(თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება) პროცესში ძირითადად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:</p> <p>1) უზრუნველყოფს პროცესების ლოგისტიკური, საინფორმაციო, საექსპერტო და ტექნიკური მხარდაჭერას. მერია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მხარდაჭერით, მათ შორის: შენობებით, სტენოგრამის წარმოებით, ხმის აპარატურისა და საკომუნიკაციო საშუალებებითა და სხვა;</p> <p>2) უზრუნველყოფს სახალხო ასამბლეების, რეგიონალურ და თემატურ ფორუმებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრებისა და მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და მისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებ შორის ეფექტიან კომუნიკაციასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.</p>

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			1 500 000
ხარჯები			200 000
საქონელი და მომსახურეობა			100 000
სხვა ხარჯები			100000
არაფინანსური აქტივების ზრდა			1 300 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საქონელი და მომსახურება		X	X	X
სხვა ხარჯები		X	X	X
არაფინანსური აქტივების ზრდა		X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მონაწილეობითი ბიუჯეტი	50 000	1 500 000	2 000 000	2 300 000	2 500 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - ინფრასტრუქტურა; მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ
---	--	-----------	------

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში	განხორციელებული (სავარაუდოთ განსახორციელებელი) პროექტი	75	70	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	საგანგებო მდგომარეობა
	ჩართული მოსახლეობა	5000	5200	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 03
ქვეპროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 - 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	50 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50 000

ქვეპროგრამის მიზანი

პროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებით მონაწილეობას საგრანტო კონკურსებში, რომელსაც განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ და ფუძნებული იურიდიული პირები ან და სხვა ორგანიზაცია ვინც მოიპოვებს შესაბამის დაფინანსებას და პროექტის მიზანი იქნება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, შემეცნებითი და სოციალური პროექტი, მოქმედი თუ შემოსული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ საგრანტო კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას ღებულს ადგილობრივი თვითმართველობა რაც საშუალებას აძლევს მოიგოს პროექტი და განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალური-ეკონომიკური მიმართულებით. ეს კი აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგმარეობა

ქვეპროგრამის აღწერა

2018 წლიდან ქედის მუნიციპალიტეტის მიმართულებით გაიზარდა ინტერესი საგრანტო პროექტების განხორციელების მიმართულებით. აღნიშნულ პროცესში ადგილობრივი თვითმართველობა მჭიდროდ თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტში შემოსულ დონორებთან. 2019 წლის დასაწყისში ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის და არასამთავრობო ორგანიზაცია Cenn_ის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ ქედის კულტურის სახლმა და ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლამ მიიღო გრანტი 80 000 ლარის ოდენობით სადაც მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობა განისაზღვრებოდა 32 000 ლარით. ეს იყო პრეცედენტი სადაც ადგილობრივმა თვითმართველობამ საგრანტო კონკურსის სახით მოიძია დამატებითი თანხები. აღნიშნული პროექტები 2019 წელს მიმდინარეობს და 4 წლით იგეგმება ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დონორების მიერ.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			50 000
ხარჯები			50 000
სხვა ხარჯები			50 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სხვა ხარჯები	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
განხორციელებული პროგრამები				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	27 000	50 000	103 500	111 000	120 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ
---	---	-----------	------

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
პროექტების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტები	3	4	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი	საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 05
ქვეპროგრამის დასახელება:	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი	2024-2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	45 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	45 000
ქვეპროგრამის მიზანი	
ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, ქალთა გაძლიერებას, ძლიერი მხარეების წახალისებას, ადგილზე საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობას, სუსტი მხარეების აღმოფხვრის ხელშეწყობას.	

ქვეპროგრამის აღწერა
<p>ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად; მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები როგორცაა, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთაართულობა და ა.შ. მზარდი ფაქტები და მონაცემები ადასტურებენ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების/წახალისების გარეშე შეუძლებელია.</p> <p>ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გენდერული საკითხები გააქტიურებულია. დემოკრატიულმა პროცესებმა ქალთა ეკონომიკური აქტიურობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში, უდავოა რომ გენდერული თანასწორობა დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან იგი დასაქმების, შემოსავლების ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების საფუძველია. ქვეყანაში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად საჭიროა დამატებითი აქტივობების განხორციელება, ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ქალთა ჩართულობის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესებში ადგილობრივ დონეზე და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები/გამოწვევები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <p>ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს. პროგრამის გენერალური მიზანია: მუნიციპალურ დონეზე მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, მოსახლეობის შესაძლებლობებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ და სოციალურ აქტიურობას, ეს იქნება სტიმული/წახალისება/მიმბაძველობა და მაგალითი სხვა ქალებისათვის, რათა უფრო გააქტიურდნენ და მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მუნიციპალიტეტის პროგრამებში, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში.</p>

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			45 000
ხარჯები			45 000
სხვა ხარჯები			45 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სხვა ხარჯები	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
ხელშეწყობილია მეწარმე ქალთა სოციალურ-ეკონომიკურად გაამლიერება, გააქტიურება და მათი დაინტერესების ამაღლება				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაამლიერება/ხელშეწყობა	29 000	45 000	60 000	80 000	100 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა, მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ
---	--	-----------	------

დამატებითი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:

- 1) პროგრამა საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებს არ საჭიროებს;
- 2) დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტისა და გამარჯვებულ პირ (ებ)ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
- 3) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გამლიერებულია ქალების სეგმენტი, გაზრდილია მეწარმე ქალების რაოდენობა, აქვთ ფინანსებზე წვდომა, მოპოვებული ეკონომიკური დამოუკიდებლობა,	გამოცხადებული საგრანტო კონკურსი	1	1	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა
	სგრანტო კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა (არანაკლებ)	40	50	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 06
ქვეპროგრამის დასახელება:	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი	2024-2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	5 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	5 000
ქვეპროგრამის მიზანი	
ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური მხარდაჭერა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.	

<p>ქვეპროგრამის აღწერა</p> <p>. ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანაში და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტში გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით დღის წესრიგში მაინც რჩება პრობლემები, როგორცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, ოჯახში ძალადობა, გენდერული დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ. ხელისუფლების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის და პრევენციის მიზნით, მათ შორის, დაიხვეწა კანონმდებლობა, შეიქმნა დამატებითი საკანმდებლო გარანტიები ძალადობის მსხვერპლთათვის და გაძლიერდა ინსტიტუციური მექანიზმები, ა მის მიუხედავად პრობლემა კვლავ აქტუალურია, რასაც კიდევ უფრო ართულებს პანდემიის შედეგად გამოწვეული გარემოებები.</p> <p>ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ოჯახში ყოველი მე-11 ქალი ძალადობის მსხვერპლია და ქალთა 35% აცხადებს რომ განუცდია მეუღლის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევა. განსაკუთრებით პრობლემატურია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური საკითხია და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს, რასაც არც თუ ისე იშვიათად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლიდან დღემდე საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა ყველა ის ძირითადი საერთაშორისო დეკლარაცია, პაქტი, კონვენცია, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომლებიც ავალდებულებს ხელისმომწერ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და დაცვას საქართველოს მიერ მიღებული იქნა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით სპეციალური კანონები და შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს კონსტიტუცია; 2. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ CEDAW (სიღო კონვენცია); 3. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება (2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ხელისუფლებას, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მმართველობით რეგულში ქალთა როლის გაზრდას ავალდებულებს); 4. ევროსაბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (იგივე სტამბულის კონვენცია), რომლის რატიფიცირება, საქართველომ 2017 წელს მოახდინა. 5. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;
--

ქედის პოლიციის რაინული სამმართველოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2020-2021 წლებში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში მომხდარი ძალადობის ფაქტების შესახებ გამოცემული იქნა 43 შემაკავებელი ორდერი, მათ შორის 2020 წელში 19, ხოლო 2021 წელს 24 შემაკავებელი ორდერი.

ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე ქვეპროგრამის მომზადება, აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება და საჭიროებებიდან გამომდინარე ახალი კომპონენტების დამატება.

1. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში „ქალთა მიმართ ძალადობის“ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში 2022 წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებები, რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს, რომ თვალის დახუჭვა, გულგრილობა, გვერდზე დგომა დაუშვებელია, და რომ თითოეული ადამიანის ერთი ზარი შესაძლოა გადაწყვეტი აღმოჩნდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის ჯანმრთელობის დასაცავად.

2. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, 2015 წლიდან დღემდე განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელიც ძირითადად საინფორმაციო ხასიათის მატარებელი იყო, მიმდინარე წელს იგეგმება სიახლის დანერგვა, კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოს ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი გადაწყვეტილებით) მქონე პირთა ფინანსურ დახმარებას (400-800) (ოთხასი-რვაასი) ლარის ოდენობით, სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დროებით (სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად) ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავებას.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის ქვე-აქტივობები:

1. არა ძალადობის კამპანია - ინფორმირებულობის გაზრდა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების შესახებ;
2. ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები - საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნაადრევი ქორწინების შესაძლო რისკებზე და უარყოფით მხარეებზე.
3. „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე“- მიზანი: ხაზგასმა, რომ ადამიანები თანასწორი ვართ და ყველას გვაქვს თანასწორი უფლებები მიუხედავად იმისა, რომელ სტრუქტურას წარმოვადგენთ, რომელადმსარებლობას მივყვებით, რა ენაზე ვმეტყველებთ, და ა. შ. ბალანსი ორ მნიშვნელოვან ამოცანას შორის:„ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა და ეს არის ადამიანის დაცვა“;
4. „ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“ - მსოფლიო გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ- ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მასწავლებლებისთვის დაუფროსკლასელი მოსწავლეებისთვის;
5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ქალებისა და გოგონებისთვის;

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			5 000
„ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“	1	750	750
ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები	1	800	800
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება	1	700	700
ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე	1	750	750
არა - ძალადობის კამპანია	1	1 000	1 000
ბენეფიციარისათვის ფინანსური დახმარების ან/და ბინის დაქირავების ხარჯი	1	1 000	1 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საქონელი და მომსახურება	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ინფორმირებულია საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ; ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალურ-მორალური მდგომარეობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	5 000	5 000	10 000	10 000	10 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა, მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ
---	--	-----------	------

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი (შემაკავებელი ან დამცავი ორდერი/სასამართლოს გადაწყვეტილება ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილება);
4. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები; ძალადობის მსხვერპლის დროებით (სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად) ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავება მოხდება არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით.
5. თანხა ჩაირიცხება გამქირავებლის საბანკო რეკვიზიტებზე. ანგარიშსწორება მოხდება ყოველი თვის ბოლოს.

ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:

- 1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;
- 2) ბინის ქირავნობის ხელშეკრულება
- 3) წერილობითი მოთხოვნა;
- 4) მიღება-ჩაბარების აქტი;
- 5) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ინფორმირებულია ადგილობრივი მოსახლეობა იმ სახელმწიფო და და მუნიციპალური სერვისების შესახებ, რომელსაც ძალადობის მსხვერპლს სთავაზობს, როგორც სახელმწიფო ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა	განხორციელებული აქტივობები	8	8	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა
	პროგრამით მოსარგებელ ბენეფიციარების რაოდენობა და აუდიტორია	8	12	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 07
ქვეპროგრამის დასახელება:	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი	2024-2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10 000
ქვეპროგრამის მიზანი	

გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება/ადგილზე თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით დღის წესრიგში მაინც რჩება პრობლემები, როგორცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გენდერული დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა, ცნობიერება და ა.შ. ხელისუფლების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა გენდერული თანასწორობის მისაღწევად მათ შორის, დაიხვეწა კანონმდებლობა, ამის მიუხედავად პრობლემა კვლავ აქტუალურია. ქალთა პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის გაუმჯობესების მიუხედავად, ქედის მუნიციპალიტეტში ქალები/გოგონები არ არიან ჯეროვნად ჩართულნი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე ქვეპროგრამის მომზადება და აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებასმოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერული მენისტრიმინგის ხელშეწყობასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			10 000
„ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღე“	1	1000	1000
გენდერული თანასწორობის ბოლოდროინდელი გამოწვევები	1	1000	1000
სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე	1	4000	4000
გაიზიარე წარმატების მაგალითი	1	4000	4000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საქონელი და მომსახურება	1000	4000	0	5000

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

შექმნილია ადგილზე თანასწორუფლებინი გარემო და ამალბულია მოსახლეობის ცნობიერება.

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების აძლევა	10 000	10 000	15 000	20 000	25 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა, მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ
---	--	-----------	------

დამატებითი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:

- 1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;
- 2) წერილობითი მოთხოვნა;
- 3) მიღება-ჩაბარების აქტი;
- 4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ინფორმირებულია მიზნობრივი სეგმენტი გენდერული თანასწორობის შესახებ	ჩატარებული ტრენინგ-სემინარების რაოდენობა	8	8	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა
	პროგრამით მოსარგებელ ბენეფიციარების რაოდენობა	15	15	რაოდენობა	10 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული სამსახური/ქალთა ოთახი	მონიტორინგი	ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	5 501 282	9 215 198	5 877 300	12 518 050	14 166 700	13 007 900
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 588 582	3 772 397	1 609 500	3 150 550	3 356 500	3 472 200
შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 557 390	1 944 022	1 378 050	1 300 000	1 500 000	1 500 000
ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)	0	137 400	103 050	103 050	0	0
მთებზე მოიალადეთა ტრანსპორტირება	5 000	7 000	8 000	10 000	10 000	10 000
ბურღვა აფეთქება	9 991	9 999	10 000	15 000	15 000	15 000
დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	16 200	26 360	30 000	35 000	35 000	40 000
შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	0	59 800	80 400	87 500	96 500	107 200
სპეცტექნიკის შეძენა (ტრაქტორი JSB)	0	247 247	0	0	0	0
სოფელ ქვედა აქუცისა და სოფელ ვაიოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	0	1 340 569	0	0	0	0
საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	932 679	1 312 678	1 612 800	1 736 100	1 894 300	1 694 400
წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	403 509	39 611	1 000 500	900 000	1 000 000	700 000
სოფელ კ/მაისის ცენტრის მოსახლეობის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	0	0	130 000	0	0	0
სოფელ წონიარისის სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა	0	0	588 400	0	0	0

სოფელ კ/მაისის ბაგა-ბაღის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	0	0	80 000	0	0	0
სოფელ ძენწმანში სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	0	0	150 000	0	0	0
სოფელ სირაბიძეებში წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზის მოწყობა	0	0	12 000	0	0	0
სოფელ დოლოგანში წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზის მოწყობა	0	0	40 100	0	0	0
ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	188 777	0	0	0	0	0
დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	111 481	0	0	0	0	0
სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შექმნა	49 474	39 611	0	0	0	0
სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში 8 ოჯახისათვის ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	26 776	0	0	0	0	0
სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მოწყობა	6 593	0	0	0	0	0
სოფელ ახოში არსებული საპირფარეოსათვის სექტივის მოწყობა	20 408	0	0	0	0	0
შპს ქედის წყალკანალი	529 170	558 627	612 300	836 100	894 300	994 400
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 856 421	2 432 398	1 752 000	6 320 000	7 480 000	6 200 000
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	260 477	459 308	842 000	3 700 000	4 450 000	1 600 000
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	0	51 455	208 000	200 000	250 000	300 000
ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა	0	0	134 000	0	0	0

სოციალური სახლის მშენებლობა(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა)	0	0	500 000	2 500 000	3 000 000	0
დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	176 527	157 450	0	0	0	0
ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრში, ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკში ხანდაზმულთთვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცის მოწყობა	0	177 912	0	0	0	0
26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	4 927	0	0	0	0	0
სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია	79 023	0	0	0	0	0
სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	0	72 491	0	0	0	0
ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	455 155	588 457	500 000	2 500 000	2 900 000	3 100 000
მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	455 155	588 457	500 000	600 000	700 000	800 000
დაბა ქედაში, მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები	0	0	0	0	0	0
პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	1 140 788	1 384 633	410 000	120 000	130 000	1 500 000
ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ახლში სკვერის მოწყობა	0	0	400 000	0	0	0
დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული კედლის მოპირკეთება	0	194 166	0	0	0	0
დაბა ქედაში რუსთაველის ქ. № 13 და № 15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	446 687	556 853	0	0	0	0
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შექმნა	596 365	633 614	10 000	0	0	0
დაბა ქედაში 9 აპრილის მემორიალის რემონტი	5 387	0	0	0	0	0

დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა	0	0	0	0	0	0
ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა	33 991	0	0	0	0	0
ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში შენობის მიმდებარედ პარკის მშენებლობა	58 359	0	0	0	0	0
მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	153 857	376 108	185 000	395 000	430 000	485 000
ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	4 861	4 756	5 000	5 000	5 000	5 000
პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	104 903	261 419	100 000	270 000	300 000	350 000
მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	44 093	109 933	80 000	120 000	125 000	130 000
სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	11 760	7 899	13 000	16 000	20 000	23 000
აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა	4 000	0	5 000	6 000	8 000	9 000
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა	7 760	7 899	8 000	10 000	12 000	14 000
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	617 244	750 000	0	0	0	0
საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	14 000	12 200	15 000	25 000	25 000	25 000
შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	326 739	371 601	524 000	875 400	960 900	1 108 300
მთების ელექტროფიკაცია (გომის მთა)	0	0	166 000	0	0	0
მთების ელექტროფიკაცია (მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა)	0	179 917	0	0	0	0

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება				
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01				
პროგრამის დასახელება:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება				
პროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია				
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წწ.				
პროგრამის მიზანი					
საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა					
პროგრამის აღწერა					
პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებები) მოწყობას.					
ქვეპროგრამების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროექტი
შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 557 390	1 944 022	1 300 000	1 500 000	1 500 000
ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)	0	103 050	103 050	0	0
მთებზე მოიალადეთა ტრანსპორტირება	5 000	7 000	10 000	10 000	10 000
ბურღვა აფეთქება	9 991	9 999	15 000	15 000	15 000
დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	16 200	26 360	35 000	35 000	40 000
შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	0	59 800	87 500	96 500	107 200
სპეცტექნიკის შეძენა (ტრაქტორი JSB)	0	247 247	0	0	0
სოფელ ქვედა აქუცისა და სოფელ ვაიოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	0	1 340 569	0	0	0
სულ პროგრამის ბიუჯეტი	3 772 397	1 609 500	3 150 550	3 356 500	3 472 200
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი					

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის	მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული და რეაბილიტირებული გზების საერთო სიგრძე	8200	8200	8500	8500	9000	გრძ.მეტრი	10%	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 - 2027 წელი
სახელმწიფო ბიუჯეტი	1 378 050
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 378 050
ქვეპროგრამის მიზანი	

მუნიციპალიტეტის სოფლებში საუბნო-საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობა, ფერდსამაგრი კედლების მოწყობა, ხიდების, ხიდბოგირებისა და სავალი ნაწილების ბეტონის საფარით დაფარვა

ქვეპროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში დარჩენილია საუბნო-საავტომობილო გზები, სადაც ცუდი სავალი ნაწილების გამო შეზღუდულია ავტომობილებით გადაადგილება. ასევე, მთაგორიანი რელიეფების გამო, ხშირია წვიმების შედეგად მათი ჩამოშლა და მეწყრული პროცესების წარმოქმნა, ამიტომ საჭიროა გეგმიურად მათი რეაბილიტაცია

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			1 378 050
არაფინანსური აქტივების ზრდა			1 378 050

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	259 000	719 050	400 000

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებით შეიქმნება გაუმჯობესებული პირობები მათი შემდგომი ექსპლოატაციისათვის

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 995 760	1 378 050	1 300 000	1 500 000	1 500 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	არა
---	---	-----------	-----

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებით შეიქმნება გაუმჯობესებული პირობები მათი შემდგომი ექსპლოატაციისათვის	800 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარით დაფარვა, სანიაღვრე არხების, ხიდების, ხიდბოგირებისა და დამცავი კედლების მოწყობა	25	28	მეტრი	10 %	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური	ყოველ კვარტალურად წარმოდგენილი ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 2027 წელი
სახელმწიფო ბიუჯეტი	103 050
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	103 050
ქვეპროგრამის მიზანი მუნიციპალიტეტს დღემდე არ ჰყავს სამგზავრო ტრანსპორტი, რომელიც მოემსახურება მგზავრებს საქალაქთაშორისო გადაადგილებისათვის	

ქვეპროგრამის აღწერა
მუნიციპალური ბიუჯეტით შესაძლებელია შეძენილი იქნას სამგზავრო ავტობუსი, რომელიც მოემსახურება მგზავრთა გადაყვანას ქედა-ბათუმის მარშრუტზე

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			103 050
არაფინანსური აქტივების ზრდა	1	103 050	103 050

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
არაფინანსური აქტივების ზრდა	103 050	0	0	0
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა და სატრანსპორტო საშუალებით მათზე მომსახურება				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
აგტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)	137 400	103 050	103 050	0	0

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა; მიზანი 9 - ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	ღია
დამატებითი ინფორმაცია			

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა და სატრანსპორტო საშუალებით მათზე მომსახურება	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება	0	1	მეტრი	0 %	ეკონომიკური განვითარების სამსახური	ყოველ კვარტალურად წარმოდგენილი ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 03
ქვეპროგრამის დასახელება:	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 - 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	8 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	8 000
ქვეპროგრამის მიზანი	
მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობების (მეცხოველეობის) განვითარების ხელშეწყობა. რეგიონისათვის დამახასიათებელი მთის ტრადიციების შენარჩუნება. ალპური რესურსების გამოყენება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.	

ქვეპროგრამის აღწერა
მთის ალპურ სამოვრებზე საზაფხულოდ დროებით მობინადრეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა. მგზავრთა უსაფრთხოდ და დანახარჯების გარეშე ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა მთლიანად მთის სეზონის პერიოდში (სამი თვე) სატრანსპორტო მომსახურების გაწევა. საიჩარის და გომის მთის ტერიტორიაზე მობინადრე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვა. პროგრამა ითვალისწინებს შედგენილი გრაფიკის მიხედვით კვირაში თითო მარშრუტს. მოსახლეობის მოთხოვნით დაგეგმილ დღეებში მთებზე ტრანსპორტით გადაადგილებისათვის.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			8 000
ხარჯები			8 000
საქონელი და მომსახურეობა			8 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საქონელი და მომსახურეობა	0	0	8 000	0
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება	7 000	8 000	10 000	10 000	10 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	არა
---	---	-----------	-----

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მთის ტრადიციების შენარჩუნება და კმაყოფილი მოიალაღეები	წლის განმავლობაში მოსარგებლე ბენეფიციარი	600	600	რაოდენობა	10%	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
---	------------------------------------

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 04
ქვეპროგრამის დასახელება:	ბურღვა აფეთქება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი:	2024 - 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	10 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10 000
ქვეპროგრამის მიზანი	
მუნიციპალიტეტის სოფლებში საცხოვრებელი სახლებისათვის საფრთხის შემცველი ქვის ლოდების გაუვნებელყოფა აფეთქების გზით	

ქვეპროგრამის აღწერა
მუნიციპალიტეტის სოფლებში საცხოვრებელი სახლების და სხვა ინფრასტრუქტურის დამაზიანებელი საფრთხის წარმომქნელი ქვის ლოდების გაუვნებელყოფა (აფეთქება)

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			10 000
ხარჯები			10 000
საქონელი და მომსახურეობა			10 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საქონელი და მომსახურეობა	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
მუნიციპალიტეტის სოფლებში ზემოთ ჩამოთვლილი საცხოვრებელი სახლებისათვის და მათი მოზინადრეებისათვის დაზიანებისაგან რისკების აცილება				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
ბურღვა აფეთქება	10 000	10 000	15 000	15 000	15 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	არა
---	---	-----------	-----

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
სამუშაოების განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება დასახლებულ 11 სოფელში 20 საცხოვრებელი სახლის ქვისცვენისაგან დაზიანებისაგან რისკების აცილება და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები	6	8	რაოდენობა	10%	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 05
ქვეპროგრამის დასახელება:	დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი	2024 – 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	30 000

სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	30 000
ქვეპროგრამის მიზანი	
დაბა ქედაში მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა	

ქვეპროგრამის აღწერა
<p>დაბის ტერიტორიაზე განთავსებულია მუნიციპალური საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაღები, ასევე ყველა საჭირო მუნიციპალური სერვისები. თუმცა მთიანი გეოგრაფიული არეალის გამო ქედაში მცხოვრებ მოქალაქეებს ფეხით უწყვეტ გადაადგილება. მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს მოაწესრიგოს ავტომანქანების გადაადგილება და პარკინგი დაბის ტერიტორიაზე, მაგრამ სავალი ნაწილის სივიწროვისა და ავტომანქანების რაოდენობის ზრდის გამო ფაქტიურად ვერ ხერხდება ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება, რაც დამატებით საფრთხეს უქმნის მოწყვლად ჯგუფებს ფეხით გადაადგილებაში. დაბაში დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. შესაბამისად, შეუძლებელია კერძო სექტორი დაინტერესდეს აღნიშნული სერვისის შეთავაზებით.</p> <p>სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, პენსიონერები, ბავშვები და ჩვეულებრივი მოქალაქეები სიცოცხლის რისკის ფასად გადაადგილდებიან სხვადასხვა სერვისის მიღებისთვის დაბის ტერიტორიაზე, რომლებსაც ჭირდებათ მოწესრიგებული, უსაფრთხო და შშმ პირთათვის ადაპტირებული მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის კვლევების შესაბამისად, დღეის მდგომარეობით დაბის ტერიტორიაზე ფეხით გადაადგილდება 300-მდე სკოლის მოსწავლე ყოველდღიურად, 100-მდე საბავშვო ბაღის აღსაზრდელი და მათი მშობლები. ასევე დაბის ტერიტორიაზე განთავსებულ საავადმყოფოში ყოველდღიურად დაახლოებით 20-დან 30-მდე პენსიონერი ღებულობს მომსახურებას, რასაც ემატება სოფლიდან დაბის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ჩამოსული მოსახლეობის გადაადგილება სხვადასხვა მუნიციპალური სერვისის მისაღებად. ყოველივე ეს ქმნის გარემოს და აუცილებლობას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაბა ქედის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განთავსება უზრუნველყოფს მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას. საქართველოში იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამის ფარგლებში ახალად შეძენილი ელექტრო ავტობუსი მინიმალური დანახარჯების გათვალისწინებით უზრუნველყოფს მგზავრთა უწყვეტ გადაადგილებას სრულიად უფასოდ. ელექტრო მიკროავტობუსი ერთიდან ნახევარი საათის ინტერვალით იმობრავებს დაბის ტერიტორიაზე არსებულ ტბელ აბუსერიძის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის, 9 აპრილის ქუჩებზე, ყედირ შერვაშიძის ქუჩებზე. ასევე აქუცის ახალი ხიდიდან მენწმანის ხიდამდე. პროგრამის ფარგლებში ავტომობილის მოვლა შენახვას ახდენს ორგანიზაცია და მძღოლებთან ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს ყოველთვიურ ანაზღაურებას.</p>

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ჯამი			30 000
სუბსიდიები			30 000

შრომის ანაზღაურება	12	550*3	19 800
ელექტრო მიკროავტობუსის მიმდინარე რემონტი	1	2 756	2 100
მიკროავტობუსის დაზღვევა	12	420	5 040
მიკროავტობუსის საბურავები (ზამთრის)	4	370	1 480
მიკროავტობუსის საბურავები (ზაფხულის)	4	320	1 280
GPS მომსახურება	12	25	300

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სუბსიდია	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
დაბა ქედის ტერიტორიაზე მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა				

ქვეპროგრამის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	24 900	30 000	35 000	35 000	40 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ
დამატებითი ინფორმაცია			

ელექტრო მიკროავტობუსი შესყიდულია საქართველოში იაპონიის საელჩოს გრანტის ფარგლებში, ის არ საჭიროებს დამატებით რაიმე ტიპის საწვავს და წარმოადგენს გარემოსთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო ავტომობილს. ელექტრო მიკრო ავტობუსის დამზადება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის ეზოში სპეციალურად მოწყობილ ავტომანქანების დამუხტვის აპარატზე, რომელიც 1 დამუხტვას 7 კვ.სთ სიმძლავრით ანდომებს 5,20 საათს.

აღნიშნულ ქვეპროგრამას ემსახურება ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“, რომელსაც 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონება გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით თხოვების უფლებით.

მუალედური შედეგი	მუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
დაბა ქედის ტერიტორიაზე მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნვეყოფა	დაბის ტერიტორიაზე მოქალაქეთა გადაადგილების უზრუნვეყოფა	8 000	8000	რაოდენობა	10%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 06
ქვეპროგრამის დასახელება:	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო, ეკონომიკური განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების პერიოდი	2024 – 2027 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	80 400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	80 400
ქვეპროგრამის მიზანი	
დაბა ქედაში მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით ამბულატორიების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქედა-ბათუმის მიმართულებით მგზავრთა დროული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.	

ქვეპროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

